# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 50 მან., ნახევარ წლით 30 მან. თითო ნომრი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილი.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

წ. № 15 კვირა ქრისტეშობისთვის 21 | ფასი 5 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემის


## სალამი ნინო ჩხეიძეს

ხელოვნების ქურუმს,
მნათობს ჩვენი სცენის!
მერცხალს მოჭიკჭიკეს,
სიამაყეს ერის;
ვიშ! დღეისა ზეიმი
რა რიგადა შვენის...,
დახეთ მისდა სადიდებლად
ერი როგორ მღერის:

ვაშა და ქება,
ქება დიდება!
აბა შენს სახელს
რა შეედრება!
გიყვარდა სცენა
ვით მამა ზენა;
მას მოახმარე
აზრი და ენა;
გიყვარდა იგი,
მას შენ უყვარდი,
ორივ ერთ-ურთსა
გულში იკრავდით.



1894 — ნინო ჩხეიძე — 1919

თავს ევლებოდი,
მარად ეტრფოდი!
შვებას და ლხენას
ტანჯვაში გრძნობდი;
ქურუმი გახდი
ხელოვნებისა,
შუქი მნათობი
ჩვენი სცენისა!

და ამიტომაც ეგ ზეიმი
ასე რიგად გშვენის
ქართველ ერის სიამაყეს
ქურუმს ჩვენი სცენის!
დიდხანს დიდხანს დაამშვენე
კიდევ ჩვენი სცენა!
აქანდაკე სახე,
სულის აღმაფრენა!

დ. ჭანჭათელი





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამი ნინოს!



ნინო ჩხეიძე

გამიგონია ძველ საბერძნეთსა და რომში ღმერთქალნი დედამიწზე იარეოდენ კაცთა გრძნობა-გონების ასამაღლებლად მსმენია ისიც, ტაძარში საღვთო ცეცხლის მფარველად ტურფა ასულთ აირჩევდენ ხოლმე „ვესტალებს უწოდებდენ, რომელნიც 20-30 წ. უმაღლესი უბიწოებით აღვივებდენ წმინდა ცეცხლს ადამიანთა საკეთილდღეოდ...

სწორედ ის ღმერთქალია, ის ვესტალი ნინო ჩხეიძე, რომელიც მთელი 25 წ. მსახურებდა ხელოვნების წმინდა ტაძარში და აქ აღვივებდა სიყვარულის, სათნოების, მშვენიერობის, ადამიანობის უმაღლეს გრძნობათ.

იგი მშობელი ერის წინაშე ვალმოხდილია და ნეტარება მას!

მის მიერ აგიზგიზებულ ხელოვნების კოცონში გამობრძმედილი ქართველი ერი დღეს უსაყვარელეს, უნეტარეს სულს ია ვარდს დაუფენს.

იყო ნინო, რომელმაც წარმართსა ერსა ჩვენსა ახალი სარწმუნოების ნათელი სცა!..

და სახელი მისი უკვდავქმნილია!

და არის ნინო, რომელმაც ახალ წარმართობაში ჩაფლული ერი ჩვენი თვისი მაღალ ხელოვნებით გადანათლა!

და სახელი ამისაც ქართველთა სიცოცხლე-წარმატების ისტორიაში უკვდავ დარჩება! ვაშა და დიდება!

ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი მოწოდება (ოთხი ხუთის წლის წინად) მისი იუბილეს გადახდის შესახებ არ და ჩა ხმად მღაღადებლისად'.

მთელ ჩვენს ერთან ერთად ჩვენც აღფრთოვანებით ვულოცავთ დღევანდელ მოზეიმეს: ნუმცა ჩაქრება ის ღვთიური კერა, რომელს ნინო 25 წ ფარვანასავით თავსევლებოდა დღეს კი ნეტარების ცრემლებს დააპკურებს.

სალამი ჩვენი, გულითადი სალამი ჩვენის გრძნობათა გადამხალისებელ ნინოს!..

იოსებ იმედაშვილი

## 1894—1919

მიმდინარე წლის ივნისის 1-ს 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად შესდგა ფეხი ქართულ სცენაზე ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ნინო ჩხეიძემ. ეს თარიღი უნდა ჩაითვალოს ქართული თეატრის ნამდვილ დღესასწაულის თარიღად.

ნინო თანამედროვე ხელოვნება და

საერთოდ ჩვენი კულტურა ბევრს ვერ დაუვლის ისეთი მნიშვნელობის დღესასწაულს, როგორისაც ნინო ჩხეიძის 25 წლის საიუბილეო დღესასწაულია.

ნინო ჩხეიძის მშვენიერ ნიჭთან და უმწიკვლო სახელთან დაკავშირებულია ჩვენი თეატრის 25 წლის მუშაობა, მისი ცხოვრების საუკეთესო წუთები, მისი გავლენა ხალხზედ და მისი მნიშვნელობა.

ნინო ჩხეიძე არის მშვენიერი ემბლემა მრავალ-ფერნახულის ჩვენის სასცენო ხელოვნებისა, განსახიერება მისი ტანჯვა-წვალებისა, მისი გატაცებისა და აღმაფრენისა, მისი უანგარო და თავდავიწყებულის მოღვაწეობის.

ნინო ჩხეიძე არის სინიდისი ჩვენი თეატრისა, სასიქადულო ნიმუში მაღალ ნიჭის და ზნეობრივი სიძლიერის კეთილშეზავებისა.

დღიდან სცენაზე პირველად გამოსვლისა ვიდრე დღევანდლამდე ნინო ჩხეიძე უცვლელად და გაუხეფებლად ჰხიბლავდა საზოგადოებას თვისი ნიჭისა და მაღალის ბრნების მშვენიერის თვისებებით.

ფასდაუდებელია და აუწერელი იმ უტყუარ ესთეტიურ სიტკბოებისა და სიხარულის განცდანი, ნინო ჩხეიძის ხელოვნურ თამაშს რომ აუძრავს მაყურებელთა გულში მის მიერ შექმნილ მრავალი სასცენო სახე იმდენად სრული და წარმტაცია, რომ მადლიერი საზოგადოება ვერასოდეს დაივიწყებს თვისი ნიჭიერი მსახიობის მომხიბლაობას და მისი დიდი ღვაწლის მნიშვნელობ-

დასავლეთმა საქართველომ იდღესასწაულა კიდეც ნინო ჩხეიძის 25 წლის იუბილე და მცირე წვლილი მაინც მოი ადა იმ ვალისა, ქართველ ერს რომ დასდო სასიქადულო შვილის, თავგანწირულმა მოღვაწეობამ

ჯერი აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისზე მიდგა.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დედა ქალაქში დაულეწრფელის აღტაცებითა და ერთსულოვანობით შეხვდება ნინო ჩხეიძის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეს და დღეს უკვე თავისუფალი ხალხი, შესაფერ მადლობას მიუძღვნის იმ ხელოვანს რომელიც ჩაგვრისა და შევიწროების ჟამს თავისი ნიჭის ნაზი ფერადებით ჰქარგავდა და ამუქებდა წყვდიადით მოცულ ერის ცხოვრებას.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე: ი. ბარათაშვილი. თავმჯ. ამხანაგები: პ. ქავთარაძე ალ. გაჩეჩილაძე საპატიო წევრები: ნ. გაბაშვილისა ნ. ჩრუსიასი მ. რამიშვილისა მ. კვინიტაძისა. წევრები: პ. საყვარელიძე შ. ამირაჯიბი, ალ. წუწუნავარ ნ. ერისთავი ნ. გოცირიძე. ი. იმედაშვილი ი. გიორგობიანი ალ. ახმეტელი შ. შარაშიძე. მდივანი: გ. ყიფშიძე

2
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნინოს ვინაობა



ჩვენი სცენის ქურუმი ქალი, ნინო ჩხეიძე, რომელმაც სამშობლო სცენა თვისი ხელოვნებით აღამაღლა გააკეთილშობილა და მით სახელი შარავანდედით შემოსა, დაიბადა ქუთაისს 1881 წ. ენკენისთვის 30. მამა პლატონი ვექილი ჰყავდა, დედა ევგენია, ნიკო ქორქაშვილის ასული, სცენის მოყვარე. სწავლა დააწყებინეს ოჯახში ეფემია და ნინო მესხის ასულებმა. სკოლაში არსად უსწავლია; ბავშობიდანვე ნიჭიერი იყო, სათეატრო და სამწერლო წრეებში ტრიალებდა და თვითგანვითარებით მოიპოვა ცოდნა. დედ-მამა ადრე დაეხოცა, გარდაეცვალა სცენის მოყვარე დაც, მის სინაბარა დარჩა ორი დაი და ერთი ძმა, სრულიად უსახსროდ, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მიეცა და საკუთარი პატიოსანი, სასახელო შრომით გაიკვლია გზა ცხოვრებისა და ხელოვნების ასპარეზზედ.

სცენაზე პირველად გამოვიდა შემთხვევით 1894წ ქუთაისში, გაზაფხულზე ვლ. მესხიშვილის გასტროლის დროს ემმას როლში ,,დამნაშავის ოჯახი''—ეს როლი ისე შეასრულა რომ ვლ. მესხიშვილმა იწინასწარმეტყველა: ,,დაიხსომეთ, თუ ნინომ დედას და დასაც არ აჯობოსო" იმის შემდეგ რავდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ქუთაისში კ. მესხის თეატრში. აქ თავი ისე გამოიჩინა, იმავე შემოდგომას თბილისში მიიწვიეს დრამ. დასში ვ. მესხიშვილის რეჟისორობის დროს. მეორე წელს ქუთაისს გადავიდა, სადაც რამდენიმე წელიწადს დარჩა ისევე მესხიშვილის რეჟისორობით; მასთან ერთად იმოგზავრა საქართველოს და ამიერ კავკასიის დაბა-ქალაქებში. 1897წ. გამოვიდა ,,უბედურ ნაბიჯში'' და ამ დღიდან უკვე სახელმოხვეჭილ მსახიობად შეიქმნა. 1903-4წ. თბილისს გადავიდა ვ. აბაშიძის, კ. მესხისა და კ. შათირიშვილის რეჟისორობის დროს. 1904წ. ენკენისთვეს ჯვარი დაიწერა მ. ქორელზე. 1905წ. მიწურულს რევოლიუციონურ მოძრაობის გამო თბილისის დასმა მოქმედება შეაჩერა და ნინოც, ავადმყოფობის გამო მეუღლით პარიზს გაემგზავრა, სადაც ნახა სარა ბერნარის და რეჟანის თეატრები და გამოჩენილი მსახიობნი კოკლენი, ბლანშ დიუ ფრენი და სხ. პარიზში გაუჩნდათ ქალი მედეა. 1906-1909წ. თბილისის დასში მსახურებდა-დროგამოშვებით ქუთაისსაც ესტუმრებოდა ხოლმე, 1909წ. კი ქუთაისს გადავიდა, სადაც მთელი ათი წელიწადი განუწყვეტლივ მუშაობდა. მიმდინარე წლის ივნისში ქუთაისმა დიდის ზეიმით გადაუხადა 25 წლის მოღვაწეობის იუბილე და მით დააჯილდოვა მისი განვლილი ნაღვაწი. მისი მთავარი როლებია ზეინაბი, მარგარიტა გოტიე, მაგდა, ნორა, მედეა, და ბეატრის, ქეთევანი, დეზდემონა, კორდელია და სხ.

მადლიერი სამშობლო დიდხანს იამაყებს ნინოს შემოქმედებით და ჩვენი თეატრის ისტორიაში მისი სახელი საუკუნოდ დარჩება.

**იოსებ არიმათიელი**

## ნინოს დამახურება

ბევრი დრო გაივლის და ქართული თეატრის მემატიანე დიდხანს იამაყებს ნატ. გაბუნია-ცაგარელით, ავალიშვილით, საფაროვ-აბაშიძით, ეფ. მესხით, დავითაშვილით, ჩერქეზიშვილით და სხვ.

მათ შექმნეს ეროვნული ტიპები ქართულ სცენაზე. და რამდენად კარგი და ბუნებრივი იყვნენ ისინი აღნიშნულ შემოქმედებაში, იმდენად თარგმნილ პიესებში მათ თამაშს არა ჰქონდა სრული ელფერი.

ჩხეიძის ნიჭმა-კი გაუსწრო ყველას.

მაყურებელი ხარობს და სტკბება მისი ზეინაბით, მაგრამ მისი აღფრთოვნება უფრო ძლიერდება, როდესაც ჰხედავს მას ევროპიულ პიესებში.

ჯერ იგი არავის შეუცვლია ქართულ სცენაზე და მას შეუძლია ქიშპობა უცხოთა გამოჩენილ მსახიობთა.

მაგდა, და ბეატრისა, მარგარიტა გოტიე, ნორა, ჰანელე და ბევრი სხვ.—აი მისი ამპლუა.

მან მხოლოდ რამდენიმე ქართველ მსახიობითურ ვლ. ალექსი-მესხიშვილით. კოტე მესხით და ვასო აბაშიძეთი დაამკვიდრა ევროპიული დრამა ჩვენს სცენაზე.

და თარგმნილი პიესები უნინო ჩხეიძოთ არას დროს არ სტოვებდა მთლიან მხატვრულ შთაბეჭდილებას.

ამაშია მნიშვნელობა და ნიჭი ნ. ჩხეიძის სასცენო მოღვაწეობისა

და ვუსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე ქართულ სცენის საკეთილდღეოდ და დასამშვენებლად. რადგან მისი თამაში წარმოშობს ახალ ნინო ჩხეიძეებს, რომლებსაც ქართული სცენა ასე საჭიროებს. **ს. წერეთელი**

## წმინდა ასული

**(ძღვნად ნინო ჩხეიძეს)**

ვინც შეიყვარა,—იგრძნო უკვდავება.
უ ა ი ლ დ ი.

როცა ასული იგი მშვენიერების ხორცშესხმული სიმბოლო იყო, მას შეტრფოდნენ, უმღეროდნენ, თავს ევლებოდნენ. ყველას უნდოდა მისი ცხოველი სულით გამთბარიყო ასული იგი ამაყად იდგა, მაგრამ ამ სიამაყეში ნაზ სიმად წკრიალებდა მისი სათნოება, სიყვარული უმაღლესი გრძნობასადმი და იდეისადმი. საერთოდ ყველას ატკბობდა, კერძოთ არ ვისთან იყო, შორეული შემოქმედება იტაცებდა და გულში ჩამწვდომ ლოცვით ყველას იქით მოუხმობდა.

—რა მიუკარებელია, რა ამაყია!

ისმოდა სისინი.

ასული იგი ამის გამგონი ნაზად იღიმებოდა.

ასულის სული განცდით კრთოდა, ლაღმა მისწრაფებამ, მიზნისკენ ლტოლვამ ღვთაებრიობას დაუახლოვა. მაგრამ „მიწის სვლამ" ბევრჯერ აქვითიანა, სახეზე სევდის ელვარემ გადაკრა. სათნო, მგზნებარე თვალები ხელი ცრემლებით შველას ითხოვდა. ხმები ესმოდა იმედის, დახმარების და აღფრთოვანებას, ერთს წუთს იწამა: ალბად ჩემი მიზანი ისე დიდია, რომ მის მისახვედრად სახელს მიწვდავან. მაგრამ ითრთოდებოდა იმედის ყვავილი, ყველა ქრებოდა ისევ ის შორეული სიმბოლო ღვთიური ცეცხლისა მასთან იყო, და განაგრძობდა ლოცვას, ვით შორეულ უდაბნოში მიტოვებული მწირი.

—სულელია, უხილავზე ლოცულობს!

ასული ამის გამგონი მწუხარეთ ღიმებოდა.

ღვთიური ცეცხლი უხვად ეფრქვევა მიზნის დიად საკურთხეველს, მგზნებარე ალი ათბობს ყველას, ასული იგი, გამხდარი, მოღლი, მოქანცულია, და მისი მომქრთალებული სახე ცისკრით გაშლილა. შარავანდედით შემოსილი: ციური სირინოზნი თავის გვირგვინით უმკობენ შევერცხლილ თავს.

და მისი ლოცვა ისევ გრძელდება.

ნელია, მაგრამ ყველას გასაგონი.

სევდიანია, მაგრამ ყველას გასახარი.

მიწიერნი და ზეციურნი შეერთებულან. შუაში დგას წმინდა ასული ნარნარი და დიდია იგი-

რა უმწიკვლო, რა მშვენიერია! ყოველივე გადალახა, შეიყვარა შორეული სახეები და ჩვენც შეგვაყვარა ისინი.

ასული ისმენს ამ სიტყვებს და ისევ ურყევი და მოსიყვარულე, სათნო სიამაყით იღიმება.

ქ. გერგესელი.



ნინო ჩხეიძე
(გაწყვეტილი სიმი". — ელენე)
შარჟი შ. ქიქოძისა

# ზ ე ი ნ ა ბ ი
(ძღვნად ნინო ჩხეიძეს)

მთის უბეებში დასასვენებლად მხე აინაბა..
მეტეხის იქით დრუბელი ჭექას ავზნიან ფაფარს.
ციხის დარბაზში აკვნესებს თარს ზეინაბი
და სოლეიმანს მოუყვება ნაღვლიან ზღაპარს..

დაუძინებათ აივანზე რკინის დარაჯებს,
ელდას ჭკვრის სხეულს, და ცივს ფრთოლას მეხედვა
შახის ..

გძელი შუბები გაჭყინვიათ ხელში არაბებს
და მტკვრის პირიდან ანანიას ლანდი ქშახის..
ფიქრში გაივლის ტკბილ წარსულის მზის ანარეკლი.
ალერსი ცივი.. პირზედ ღიმი.. დარდი და ნანი..
ქედის მკლავებზე დაეცემა მკვდარი ერეკლე
და ერთხელ კიდევ გაიცინებს სოლეიმანი..
ვითა ძუ-ლომში შეუკავლებს მეხთაღის უხამსსა,
გარედ-კი ლაშქარს ზეიმი აქვს ლხინობს, მაისობს.,
სასომიხდილი დაემხობა შვიდის ცივს გვამსა
და ტკბილად ტკბილად, ამაყ გულში ხანჯალს დაასობს

ი. მოსაშვილი.

# თ ე თ რ ი ქ უ რ უ მ ი .

სახსოვრად **ნინო ჩხეიძეს.**

თეთრი ქურუმის საზეიმო შესახვედრად ემზადებიან..
მთვარიან ღამეს-წმინდა ტაძარში გამოჩნდება მსხვერპლთ შესაწირად მიმავალი თეთრი ლანდი..

ტყის ტევრიდან გამოიფინება გუნდი ფერიათა, რათა მუშა-ამბარი უკმიონ ლოცვად განმზადებულ ღმერთ--ქალას...

მორევთა სიღრმეებიდან ამოსცურვენ სიზმრიული ოფელიები, თეთრ ყვავილთა გვირგვინებით..-წმინდა ქურუმის შეხვედრად ეშურებიან...

ყინვიანი დუმილი.. ტოტთა მკლავებზე ძილი ფოთოლთა... უცნაურებით გარინდებული ღრმა სივრცე ..-და მხოლოდ ფერიათა პირველ ყოფილი, შორეული საგალობელი..

წმინდა ტაძარში-მარმარილოთა ცივ სახეთა შორის,-მუხლმოყრით ლოცულობს, თხელს ნისლში შებურვილი თეთრი ლანდი.-

ცვივიან ყვავილები.. ჩხუბობენ ფერები. სხივები ჰლვრიან ჰაერო ანს სალებავებს... იმართება ჯირითი და თავდავიწყების სიჭარბეში იძირება ლანდი თეთრი ქურუმის.. შეუცნობი შორეული ხმაური გაალვიძებს დაძინებულს ფოთლებს...

ღრუბელთა სუბუქ დირეზე აიხსნება ოქროს ურდული და ლაჟვარდის მოქანავე კიბეებით-წმინდა ქურუმთან ღმერთები ჩამოდიან სანახავად..

ხელოვნების ღმერთს-სილამაზის ნარნარი გვირგვინი მოაქვს მის შესამკობად... ..და უკვდავების ღმერთი სიყვარულის მზისფერ გვირგვინით უმშვენებს შუბლს..

ლოცვით დაღლილი ქურუმი საკურთხევლის აღსავალს მიესვენება..-ასწყვეს ღმერთები და უკვდავების უსაზღვროებაში-თან წაიყვანეს საუკუნოდ, სამუდამოდ...

ცარიელდება წმინდა ტაძარი... ფერმიხდილს ოფელიას რტოს მოწყვეტილი ლოტოსი უქვნება ხელში და ისევ უძირო მორევებს დაუბრუნდება, უიმედო, სასომიხდილი.

ფერიები ტყის სიღრმეს მიეფარებიან.. რტოთა მკლავებზე მიიძინებენ ფოთლები.. ცივდება სამსხვერპლო... და უსიზმრო ძილს ეძლევა წმინდა ტაძარი..

**ი. მოსაშვილი**



ნინო ჩხეიძე —

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთრის პირზე

ანუ

## ესეც შენი იუბილე!

პიესა ორ სურათად ხელოვანთა ცხოვრებიდან.

**მ ო ქ მ ე დ ნ ი :**

1, **ანნა ბულბული,** მსახიობქალი —48 წ.
2, **პეტრე,** მეუღლე მისი, თავისუფალი ხელოვანი 51 წ.
3, **ელა,** ასული მათი —12 წ.
5, **ხმადიდიძე,** სახლის პატრონი —53 წ.
5, **რიხიანი,** (დელეგატები —45 წ.
6, **ბლუაძე,** ( —26 წ.
7. **ევა,** მეზობელი, მუსიკოსის ცოლი —39 წ.
8, **ს პატიო მანდილოსანი** —52 წ.
9, **საპატიო მოხუცი** —57 წ.
10, **ორი ბავშვი** —9-11 წ.

### პ ი რ ვ ე ლ ი  ს უ რ ა თ ი

სადათ მოწყობილი ოთახი, ხელოვნების იერით: მაგიდა რაგინდარათი, უფრო მეტია სურათები, წიგნები, კედელზე ცოცხალ ყვავილთა გამხმარი გვირგვინები ლენტებით; ერთი კარი, ორი ფანჯარა, კედელთან საწოლი, ელა წევს.

#### 1. ანნა და ელა

ანნა. (მაჯას უსინჯავს ლოგინში მწოლარე ელას) სიცხემ გაგიარა შვილო; მალე კარგად გახდები.

ელა (მანაზებული) მართლა დედა?! მერე სკოლაში მიმიღებენ?

ანნა. მიგიღებენ, შვილო, მიგიღებენ...

ელა. ფული რომ არ შეგიტანია: უფულოდ აღარ მოვიდეო .. ფეხსაცმელებიც არა მაქვს...

ანნა. გექნება შვილო, გექნება.

ელა. (მცირე პაუზის შემდეგ) მამა მოვიდა?

ანნა. არა, შვილო. რათ გინდა?

ელა. პური მშიან...

ანნა. მოვა შვილო, მოვა და მოიტანს.

ელა. მცივა დედა, მცივა, შეშა შეუკეთე.

ანნა. შეშა... შეშა... (საბანს უსწორებს) მამა მოვა და შეშასაც მოიტანს.

ელა. (ამოიგმინავს).

ანნა. (მზრუნველობით) რა იყო, შვილო?

ელა. ნეტა როდის გვექნება შეშა და პური? როდის გვექნება ყველაფერი?

ანნა. როცა შენ კაი ქალი გამეზრდები..

ელა ჰო, დედა, მაგრამ ეს როდის იქნება? დედა, იცი, როცა ამხანაგებს ვუყურებ, გული ისე მტკივა, ისე რომ... და მცინიან კიდეც.

ანნა. (გულმოკლული) რაზე დაგცინიან?..

ელა. როგორი არტისტის ქალი ხარ, მამაშენი როგორი მწერალია, რომ ვერც ჩაგიცვამს, ვერც გამაძღარხარო... მერე რომ იცოდე ვინ არიან! —ზოგი დუქნის შვილია, ზოგი —მედუქნის, ზოგი —მეეზოვის.. ისე აცვიათ, ისე, რომ. ყველაფერი აქვთ... ყველაფერი.

ანნა. (გამტკნარებული) შენც გექნება, შვილო, შენცა!..

ელა. დამხურე დედა, დამხური, გამათბე...

თან ის ზღაპარი მიამბე... შენი ზღაპარი. (დედის ხელს ლოგის ქვეშ ამოიდებს, ხელით უჭირავს; თვალთ ელულება).

ანნა. (ლოგინს უსწორებს) ჰო, ჩემო კარგო. „და იყო ერთი ლამაზი გოგონა ზამთრის პირზე... (თავზე ხელს უსვამს) და ჰყავდა მას დედა. ქარი რომ დაუბერავდა ხოლმე, დედა შვილი ერთმანეთს ეხუტებოდენ.. და ასე თბებოდენ.“ (დახედავს) დაგეძინა, შვილო! იძინე, შვილო, იძინე, სანამ ნორჩი ხარ და წუთისოფლის სიავეს ვერ იცნობ. (ქვედა სართულიდან მოისმის სევდიანი კილოს სიმღერა).

„დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან,
მაგრამ სალამურს თუ მოჰკრა ყური,
ანდამატურის ძალით გამოსწევს
აქეთკენ მის გულს ხმა უცნაური!..“

ანნა. (გატაცებით ყურს უგდებს, ხმა რომ მიწყდება) ნეტავი შენ, ღარიბო მეფეთმეფევ, საკუთარი სიმღერით მაინც იკლავ სულიერ წყურვილს. დაე, სიცივე ძარღვებში სისხლს გიყინავდეს, შენ მაინც ზამთრის პირზე ტკბილ ჰანგებით იმღერე... ერთხელაც არის შენს სიმღერას შეისმენენ. (კარის რაკუნი) შემობძანდით.

#### 2 იგინივე და ევა.

ევა. დილა მშვიდობისა, ანიკო!

ანნა. მშვიდობა მოგცეს, ჩემო ევა, ავადმყოფი ხომ კარგად გყავს?

ევა. შენი მტერია, რომ ის არის.

ანნა. როგორ? განა ის არა მღეროდა?

ევა. უბედურებაც ეგ არის, ჩემო თვალის ჩინო, რომ სახლში ჯოჯოხეთი მიტრიალებს, თვითონ ეგ სიკვდილის პირზეა, სიცხეში, და მაინც მღერის...

ანნა. სჩანს ხელოვნების უერთგულესი ქურუმია, რომ სიცხეშიაც თავის საყვარელ საგანს არ ივიწყებს...

ევა. ეჰ, ჩვენ კი გადავყევით და! ქაჯან რა მეხელოვნება, როცა ბავშვები სიმშილით მეხოცება...

ანნა. შენ ვერა ჰხვდები, შენ ვერ გესმის, ჩემო ევა, ხელოვნების სიდიადეს და ამიტომ ამბობ. ოჰ, რომ ჩასწვდებოდე ხელოვნების სიღრმე-განს, მისს საიდუმლოებას, სიმშილით სიკვდილს ირჩევ, ამას კი ვერ დაეხსნები...

ევა. რაც მართალია მართალი: მე ერთი უბრალო სოფლელი ქალი ვარ და მიგას სად შევწვდები... ამას კი ვიტყვი, ღმერთო შეგცოდე, ხანდისხან ვინატრებ ხოლმე: ან მე გავქრებოდე, ან ქმარი ძომიკვდებოდეს, რომ ტანჯვას მოვრჩებოდე... ვერც თავს ინახავს, ვერც ცოლშვილს და... აგერ ცხლაც შეწუხებულია.

ანნა. ღმერთმა უშველოს!

ევა. ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს. (გასვლას აპირებს, მაგრამ მობრუნდება მცირე პაუზის შემდ გ მორიდებით) მერიდება, მ გრამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთაყვა, ერთი ხუთი მანათი მათხოვეთ როგორმე: ყინული და აი ამ რეცეპტის წამალი გამომიწერა ექიმმა, უნდა ვუყიდო... ამ ორიოდე დღეში სარეცხს დავრეცხ, ან უშველი ვისმეს და მოგართმევ...

ანნა. (ძალზე შეწუხებული) რაღა ექნა რომ... ელა არ მომიკვდება გროში არა მქონდეს... წუხელს აქეთია ბავშვი პურსა მთხოვს და ვერ მიყიდნია: რაც დასაგირავებელი მქონდა დავაგირავე და შემოვიხარჯეთ, თორემ როგორ დაგიჭერდი.

ევა. (უნუგეშოქმნილი) არ ვიცი რა წყალს მივეცე? დიდი სიცხე აქვს: თუ ყინულს არ დაადებ, ანთება დაემართება და გადაიტანს კიდეცო...

ანნა. ცივი ტილო, ევა, ცივი ტილო სცადე...

ევა. ეჰ ეერანა წყალიც რომ დაგვიშრა! . მშვიდობით, გეთაყვა...

ანნა. მშვიდობა მოგცეს! (კარამდე მაცილებს. ევა გავა. მცირე ხანს გაჰყურებს, მერე კარს მიჰკეტავს სკრიპკისა და სიმღერის ხმა მოისმის) იგუგუნე ხელოვანო! დაე, გშიოდეს, გწყუროდეს, შენ მაინც იგუგუნე... ქვეყანამ დაგივიწყოს — შენ მაინც ადიდე ქვეყანა...

3. იგინივე და პეტრე

პეტ. (კარს შემოაჯახუნებს, მთვრალია) ეს რარა ამბავია, კარი რომ... ჩაგიკეტნია.

ანნა. (თითების პირზე მადებით ანიშნებს — ჩუმადო) სსუ!

პეტ. რარა სსუ? რატომ, ჩემ სახლში არა ვარ? თუ რარა არის?

ანნა. ისე როგორ დაჰკარგე ცნობიერება, რო ოჯახის მდგომარეობა დაივიწყე და ღვინოში იხრჩობი, როცა შინ სიმშილით სული გვეხუთება...

პეტ. რა ოჯახი, რარის ოჯახი?.. აი დაიწყევლოს ის წუთი, როცა შენ გადამეკიდე... (ქუდს დაანარცხებს)

ანნა. აგრე, აგრე... შავდაუკულმა ის დღე, როცა შემეყარე... მეც ვწყევლი ამ დღეს, მაგრამ წარსულს ვეღარ ვიბრუნებ.. (კიდოს შეცვლით) რაც გინდა სთქვი, ამ ბავშვს გაზრდა უნდა თუ არა, — ნუ თუ ამას არა ჰგრძნობ!..

პეტ. „უნდა, უნდა!" მერე საიდან მოგართვა, ქალბატონო, რომ უნდა?

ანნა. შენი მუცლისათვის თუ კი შოვობ, ოჯახისთვის რაღა დაგემართა?

პეტ. მაგას შენ არავინ გაკითხავს. . (ჩამოჯდება, გააფუჩხებს. პაუზა) ნეტა ერთი კიტრის წილი მაინც იყოს...

ანნა. (პაუზის შემდეგ) რა ქენი, რა გითხრეს?

პეტ. სად?.. რა?. როგორ?..

ანნა. ს დაც იყავი ..

პეტ. (პაპიროზს ღრმად მოსწევს და გააბოლებს) დრამატიულ საზოგადოების სალაროში თავგვებს კონცერტი გაუმართავთ . მსახიობთა [illegible] თავის თავიც ვერ ვპოვეთ... კლუბიდ ნ უარი: ჯერ თხოვნა არ განგვიხილავსო, რედაქციაში — ჩემი პიესა სადღაც გადაუკარგავთ, რომ ვიპოვოთ კიდეც და დავბეჭდოთ, ჰონორარს ვერ გადვიხდით, თითონაც მშივრები ვიხოციბითო...

ანნა მაშ ბავშვს რა პასუხი გავსცე, რომ შიან...

პეტრე რატო ნისიად არ გამოართმევ?

ანნა რატომ შენ არ ართმევ?

პეტ. შენ უფრო მოგცემენ, ქალი ხარ... აი წარმოდგენას გამართავთ და..

ანნა სახლის პატრონს რაღა უთხრა, რომ საცაა კიდევ თავს შემოჰყოფს!..

პეტ (შემკრთალი, უცებ გამოფხიზლდება, შეფიქრდება) სახლის პატრონი?.. სახლის პატრონი, სახლის პატრონი.,. გზაში რომ შემეყრება ხოლმე, ჟრუანტელი მივლის... (ფანჯარაში თვალს მოჰკრავს სახლის პატრონს, წამოხტება) უთხარი არ მოსულათქო! (გავარდება)

ანნა აი, მაგაზე მეტი შრო დალაზათიანი არ მოგცეს, ღმერთმა, აჰანდე!

4. იგინივე და **ხმალიძე**

ხმალიძე (კარებში თავს შემოჰყოფს, მერე შემოვა კიდეც) შინა ბრძანდებით?.. (შემოდის)

ანნა რა გნებავთ?

ხმალ. განა პირველი იქმაა! არ გაქსოვთ?

ანნა ჩემი ქმარი არ მოსულა, რა გიყოთ...

ხმალიძ. რა ვქნა, როგორ თუ რა მიყო? რვა თვეა ქირა არ მოგიციათ, სახლი დამიხაფრეთ და რა გიყოთო?

ანნა როცა იქნება ხო მოგცემთ...

ხმალ. რა კარგია! აცა დაიცა ნუ მოკვდები — გაზაფხულზე იონჯა მოვაო .. როდის მოვა, როდის? დალოცვილო, საქონელი რომ დავაყენო, სამჯერ მეტს ავიღებ..

ანნა ეგ თქვენ ჯიბეში მოიკითხეთ...

ხმალ. ვიცი, რომ დიდებული არტისტკა ბრძანდებით, ვიცი რომ ქმარიც მწერალი, აქტიორი თუ რაღაცა გყავთ, მაგრამ ყოველივე ეს მე გვერდებს ვერ მითბობს... რაში მეპრიანება თქვენი არტისტობა, თუ ჩემს ქირას ვერ გაასწორებთ... ვალი ვერ გაგისწორებიათ და — ხელოვანნი ვართო ..

ანნა მაშ ხელოვნებას, თქვენის აზრით, ფასი არა აქვს, რაღა?!

ხმალ. ჰმ, ხელოვნება! რა არის ხელოვნება? აგერ ქვედა სართულშიკი არ მიდგას, ნოტების მეტი არა აქვსრა, სიმშილით კუჭი უხმება; მაგისმა დაკვრამ იმღერამ ხომ ყურთასმენა წაიღო .. რაო; რა ცოდვის კითხვაა, რომ ამ ყარტალყურტ ლმა ხალხმა სწორედ აქ მოიყარა თავი!.. ამ სახლს ვალი არა აქვს, ხარჯები, გადასახადი?! რა ხალხი ხართ, რა: იმდენი ვერ მოგიხერხებიათ, რო მოქალაქეებად მაინც გიცნონ. .

ანნა. აბა თქვენ რომ მაგას ბრძანებთ, თქვენ, რომელიც მოწინავე ინტელიგენტად ითვლებით, საზოგადოდ მოღვაწედ, სხვას რა მოვთხოვო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმალ. დარიგება თუ იცით ისევ თქვენი ქმარი დაარიგეთ, ქუჩის მცველად მაინც დადგეს, მეეზოვედ ან ლაქიად, რომ თქვენ კი შეგინახოთ, ვალებიც გაისტუმროს..

ანნა ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით, ბატონო ხმალადიძე. ახლა ფული არ მაქვს და ნუ მაწუხებთ

ხმალდიდ. ნუ მაწუხებთო! ერთი აქ უყურეთ და!.. (დასცქერდება ვაჟას) თქვენ რომ მოინდომოთ, არა თუ ვალზე შეწუხდებით, პირიქით ფულსაც იშოვით, სულ ადვილად. (ხელს მოიწევს, უნდა ხელი ჩამოართვას)

ანნა. როგორ?

ხმალ. (ხელს ჩამოართმევს და უცებ აკოცებს, ხელს აღარ უშვებს) თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მიყვ...

ანნა. (წამოხტება, შეჰყვირებს) საზიზღარო, გაიძვერა!..

ელა. (უცებ წამოაწევს თავს) რა იყო დედა?

ხმალ. (დამტკნარებული წამოდგება)

პეტ. (სიხარულით შემოვარდება, ღვინით გამოხრუებული) ანნა, ანნა! აი პაკეტი; გადაწყდა: 35 წ. იუბილეს გამართავენ! ურაა!.. (ნინოს უხარის. გარედან მოისმის ბავშვების ტირილი: „მამიკო, მამი!“ ესმის წამოჯობა. „ჩემო სიცოცხლევ, შენ რომ კვდები, ვის ხელში მტოვებ!“ ხმალადიძე დამტკნარებული შეჰყურებს)

ანნა [ყურს მიაპყრობს] საცოდავი! კომპოზიტორი გარდაიცვალა!! (ყველა მოსცვავს)

ფარდა

**ს უ რ ა თ ი  მ ე ო რ ე**

იგივე ოთახი, უფრო მილაგებული. სადღესასწაულო ელფერი

**1 ხმალდიძე და რიხიანი**

რიხიანი. (აკანკალებით ჩაცმული, მოსდევს ხმალდიდიძეს, არ უნდა წინ გაუსწროს, არც უკან ჩამორჩეს) აბა, წარმოიდგინეთ ჩემი უბედურება: დელეგატად გამომგზავნეს, მატარებელმა ერთის მხრით დაიგვიანა, მეორე მხრით — ტრამვაიში ვერ ვიშოვე, შემდეგ ტრამვაის გაუწყდა მავთული და რიგს ველარ მივუსწარ. საიუბილეო კომიტეტი მეუბნება: მიმლოცავნი წუხელის ჩავწერეთ, დაიგვიანეთო. ჰა, როგორ მოგწონთ! ისე გავცეცხლდი, ისე, რომ.., მიკვირს რატომ იქვე არ გავათავე ის წყეული. საიდან სად წამოვედი, რომ მეც მიმელოცნა და..., არ შეიძლებაო.

ხმალდიდ. აბა სწორედ ეგ არის სამწუხარო და! გუშინ წინ ჩვენ, კომპოზიტორის დაკრძალვაზე ისეთი ამბავი იყო, რომ... წარმოიდგინეთ კაცი გარდაიცვალა. პატრონი ჯერ არავინა ჩანდა. ისე ტიტლიკანა იყო, რომ პერანგი და პერანგის ამხანაგი ჩემი მივეცი, კუბოში ჩაეცმიათ. მოგეხსენებათ ახლა რა ღირს ეს ორი ნაჭერი. შემდეგ იმდენი ვითომდა მზრუნველი გამოუჩნდა, რომ.. და მე კაცთაც არ ჩამაგდეს დამკრძალავ კომიტეტში მაინც ავერჩივნე.

რიხიანი შენ ნუ მომიკვდები სწორედ უზრდელი ხალხია!. ერთი ეს მიბრძანე, დიდი ამბავი იყო, ჰა?!.

ხმალ. დიდიო! მეფის დაკრძალვაც არ მ ნახავს აგეთი: რა დელეგატები, რა გუნდები, რა მუსიკა, რა სიტყვები, რა ვარდ-ყვავილები... ვინ მოსთვლის? და ვინ იცოდა, თუ ისეთი კაცი იყო...

რიხ ვაი რა ზიანს მოვცდი!.. მერე რა სიტყვა მქონდა დამზადებული. ისეთი საზოგადო მოღვაწე არა გვყოლია, გარდაცვლილი ანუ იუბილე გადახდილი, რომ სიტყვით არ შემემკო და დიხე როგორ მოვცდი! [თვითვე ნუგეშობს] მაგრამ გაზეთში ანუ ჟურნალში დავბეჭდინებ...

2 იგინივე და **ბლუაძე**

ბლუაძე. (შემოვარდება ქოთქოთით) მადლობა ღმერთს მოვუსწარი... უჰ, რა ვნახე, რა ვნახე!

ხმალდიდ. თეატრში იყავით?

ბლ. ვიყავიო?! ვაიმე, ვაიმე! დელეგატი ვარ მეთქი. თუ დელეგატი ხარ სადელეგატო ბილეთი გვექნებაო. წუხელის უნდა აგეღოთო კასერი მოსტყუდეს ჩვენს მეკარეს: რაკი დელეგატად ის არ აირჩიეს, შურით საჭირო მოწმობა თავის დროზე არ მომიმზადა, დამიგვიანა და ველარ მოვუსწარ, რომ წუხელის ბილეთი ამეღო.

რიხიანი (ვითომ ცნობისმოყვარეობით) მაშ ხალხი ბევრი იყო, ჰა?!

ბლუაძე. ნემსი ვერ ჩავარდებოდა, ნემსი. რა ვარდები, რა ყვავილები, რა მილოცვები.. ის იყო ფარდა რომ ჩამოუშვეს, გამოვიქეცი, რომ ჩემი ადრესი აქ მაინც მივართვა. თქვენ კი არ იყავით?

რიხ რაი მერე რომ ვიყავი, იმ წყეულმა ცინცლაძემ დელეგატთა სიაში არ შემიტანა. ლამის ჯავრით გავთავდე

მოისმის აღტყინებული ყიჟინი „ვაშა“, ეტლის მორახრახება.

ხმალდიდ (ფანჯარაში გაიხედავს) აჰა, მოყავთ, მოდის.

ყველანი ცდილობენ წესზე დასვდნენ, ზოგი ახველებს, ზოგი ყელსახვევს ისწორებს, ზოგი ტანისამოსს, ზოგი ულვაშს.

ხმა. გაუმარჯოს ჩვენს სიამაყეს, ხელოვნების დიდებას! — გაუმარჯოს ანნა ბულბულს, დიდება მის უკვდავებას!

3 იგინივე, **ანნა ბულბული და ორი სტუმარი**

ანნა. ერთს მხარეს საპატიო მანდილოსანი, მეორე მხარეს საპატიო მოღვაწე ორივე შუახანს გადასული, გზას ვარდებით უფენენ, შემოაგდებენ რაღაცნაირ თაიგულს, ეტყობა გარეთ ხალხი ქოთქოთობს, ყველანი გამოეგებებიან

ხმალდიძე (თვალც. კალათით) ღრმად პატივცემულო ქალბატონო ანნა! ნება მიბოძეთ მოქალაქეთა და სახელით პატრონთა ხრით მეც მოგილოცოთ ეს თქვენთვის სახელოვანი, ხოლო ჩვენთვის ბრწყინვალე დღესასწაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 წელი... ეს ისეთი ხანგრძლივი,* მძიმე ნარ-ეკლიანი მანძილია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე, რომ ენით ვერ გამოითქმის. თქვენი ხელოვნება, თქვენი განცდანი, თქვენი გრძნობა და გონება, თქვენი, ერთი სიტყვით თითოეული თქვენი ამოსუნთქვა ჩვენს აღზრდას ემსახურებოდა. თქვენ განასპეტაკეთ სული ჩვენი, თქვენ აღზარდეთ ჩვენი საზოგადოებრივი გრძნობა, თქვენ გაგვიღვიძეთ სიყვარული სამშობლოისა, საზოგადოებისა, საქვეყნო საქმის და ადამიანისა. და ყველა ამისთვის მიიღეთ ჩვენი გულითადი მადლობა. თქვენის იუბილეს აღსანიშნავად მე, ჩემის მხრით, სასამართოლში ვსპობ იმ საჩივარს, რომელიც სახლის ქირის თაობაზე შევიტანე. იმედია ამ დღეებში გამისწორებთ ანგარიშს, იცოცხლეთ! ვაშა! (ხელს ჩამოართმევს და ხელზე აკოცებს.)

ანნა [ცოტა ცივად] ღლესვე მიიღებთ.

რიხიანი. [ჩაახველებს, გვერდზე გაიფურთხებს ულვაშებს გადაგრეხს და წინ წამოდგება] ნება მიბოძეთ მეც, უაღმატებულესად უპატივცემულო ქალბატონო ანნა, რომ მთელი ჩემი წარმომგზავნელთა სახელით მადლობა მოგახსენოთ. დელეგატი გახლავართ, მუდმივი დელეგატი; საერთო დღესასწაულში ვერ მოგისწარით, სახლში გიხელით და აქ რომ არაფერი მოგახსენოთ, რაღა პირით ვეჩვენები ჩემს ამომრჩევლებს. დიაღ თქვენა ხართ ჩვენი მზე, ჩვენი მთვარე, ვარსკვლავი, თაიგული, ბულბული, გვირგვინი, ციცკარი. ნება მიბოძეთ ექსპრომტად მოგახსენოთ ლექსი:

თქვენა ხართ ჩვენ ია და ვარდი..

(ენა ებმის, ავიწყდება)

ია და ვარდი... ია და ვარდი...

(ჯიბეში უძებს ქაღალდს, ამოიღებს და გვერდით ჩახედავს)

თქვენ მოსპეთ ჩვენი გულისა დარდი.

(ენა ებმის)

გულისა დარდი.. გულისა დარდი...

(ხელსახოცით ოფლს იწმენდს) თქვენც კარგათ იცით, რომ იქ პრომტად თქმა მიყვარს. (ქურდულად ჩახედავს ჯიბიდან ამოღებულ ნაწერ ქაღალდს, სხვებს შეწუხება—შერცხვენა ეტყობა)

თქვენა ხართ ჩვენი ზეცის ცისკარი.

და ამიტომაც... ამიტომაც ტოლად შეგვიყვარდი.

(ხელსახოცით ოფლს იწმენდს, უნდა განაგრძოს მაგრამ დანარჩენი ტაშს უკრავენ, ანნა ხელს ჩამოართმევს)

ყველანი: ვაშა, ვაშ! (ტაშს უკრავენ, რიხიანს თავი მოსწონს თავ. მომწონეთ დადგება)

ბლუაძე [წინ წამოდგება, რაღაცას ლაპარაკობს, მაგრამ ვერ ისმის, თითქო სიცხეში აბოდებსო, შემდეგ ქაღალდს ამოიღებს, გაშლის და კითხულობს) მმ.. დიდად პატივცემულო, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო მზევ და მთვარევ, დღამწიფულ-შეკავშირებულთა საზოგადოებამ მე წარმომგზავნა თქვენდა მომართ ამა ადრესის მმოსართმევად და მე ვით გავკადნიერდებოდი, ესეოდენი დიადი ფუფრიადი დავალება არ აღმესრულებინა და ვინაიდან თეატრში ყველაზე ბოლოს მოვყევი, ამიტომ აქ მოგახსენებთ: გმადლობთ, გმადლობთ, კიდევ გმადლობთ. კიდევ იცოცხლეთ 35 წელიწადი, რომ ოცდახუთმეტწლის შემდეგ კვლავ მოგილოცოთ! ვაშა!

[ადრესს გადასცემს დიდი თავაზით)

ანნა. იმადლობთ, ბატონებო! სიტყვა ვერ მიპოვნია მადლობის გამოსათქმელად!

(ყველანი თავს დაუკრავენ, მიდიან)

რიხიანი. [მოიხედავს] კარგს ინებებთ, თუ ჩვენს მოლოცვას გაზეთში ჩაადებინებთ. გვარიდ რიხიანი გახლავართ!

ბლ. დიაღ, მეც ამასვე გთხოვთ! მე ბლუაძე გახლავართ! (გადიან)

4. იგინივე და ევა ორ.ი ბალღით ღარიბულად.

ევა. (ნამტირალევი, მავებშა, სასოწარკვეთილი) მოგილოცავს ქალოჯან, შენი ბედნიერი დღე! ეგება მოსამსახურე მოგინდეთ, ოღონდ ბავშვებს ცაჭამი რამე, სანამ სხვ გან ადგილს ვიშოვნიდე. შემოსავალი გექნებოდათ!

ანნა. მოლოცვისათვის გმადლობთ.. მაგრამ.. არ ვიცი, იქნება მოვახერხო რამე.

ევა. სახლის პატრონს კაცი გამოუგზავნია—სახლი დამიცალეო. ვის მივადგე ამ ზამთრის პირზე?

5 იგინივე, პეტრე და ელა.

პეტრე [შემოდის ცოტა დაღონებული, იღლიაში ვეებ დასტა ადრესების]. ეჰ, ეს იმედიც გაცრუვდა... დალახვრა ღმერთმა, ერთი რიგიანი ვახშამი მაინც გაემართნათ.. აი შენი იუბილეს ფასი: სიტყვებ-, ლექსები, დეპეშები.. შეინახე, როცა გაგიჭირდეს გალესე და დალიე.

ანნ ანგარიშ.სა რა გაიგე?

პეტრე შემოსავალი 18 ათასია, ცოტა მეტი, გასავალს ვერ ფარავს: ხარჯებს კიდევ ათას შვიდასი მანათი უნდა. რაღაც ადგილი მოგაქთ თვეს სააგარაკოდ, მაგრამ ისიც ბანკშია დაგირავებული და მონაწ ლეებთან სადავო..

ანნა [თავიგულს მაიგდებს]

ელა დედა, ფეხსაცმელებს ხო მიყიდი, შეშას ხომ ვიყიდით!

ანნა [ფიქრში წასული] ჰო, შვილო ,,იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლამაზი გოგონა. და ჰყავდა მას დედა ღარიბი. ზამთრის პირზე ქარი რომ დაუბერავდა ხოლმე, დედა-შვილი ერთმანეთს ეხუტებოდენ და ყინვისა გაჭირვებისასა, სიყვარულით ათბობდენ ერთმანეთს!''

პეტრე (თავისთვის) ესეც შენი იუბილე! და ისევ ისე ვრჩებით ზამთრის პირზე, როგორც ვიყავით!..

ფარდა

იოსებ იმედაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი